

ნესტან ფიფია
ფილოლოგიის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი
Orcid 0000-0002-6474-0740

ნიჭი, სიტყვა და გულის კულტურა (შტრიხები რევაზ შეროზიას სიტყვასთან ურთიერთობიდან)

აბსტრაქტი

რევაზ შეროზია სიტყვასთან ურთიერთობდა მეცნიერული კვლევებითა და მხატვრული შემოქმედებით. ლინგვისტურ ნაშრომებთან ერთად ქმნიდა იგავებს, ზღაპრებს, მოთხრობებს. ჩვენი კვლევის საგანია ვრცელი მოთხრობები: „გათავისუფლებულის ჩანაწერები“ და „მარტოობის ოთახი (ჩანახატები ორი პოეტის ცხოვრებიდან)

„გათავისუფლებულის ჩანაწერები“ ასახავს ადამიანის გზას წუთისოფელში, მისიას – ემსახუროს სიკეთესა და სიყვარულს. ავტორი სულიერი წვდომით ხატავს მთავარი პერსონაჟის წუთისოფლიდან გასვლის ეპიზოდს; არჩევანს – ბოროტის („წირკეს“ – რევაზ შეროზია) მორჩილებით ამქვეყნად ოც წელს მიღმიერ სამყაროში გასვლა ამჯობინოს.

„მარტოობის ოთახი (ჩანახატები ორი პოეტის ცხოვრებიდან)“ ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილსა და შოპენს, მათი შემოქმედების ჰარმონიას, ცხოვრების გზას. მნიშვნელოვანია ავტორის გონებისმიერი სივრცე და გულისმიერი ხედვა. ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ რევაზ შეროზიას სიტყვისადმი დამოკიდებულების საფუძველი ძალა, ნიჭი და გულის კულტურაა, ამიტომაც განსაკუთრებულია მისი წერის სტილი, სიტყვანარმოება ემოციური, არსისმიერი დატვირთვის. მას აქვს საკუთარი ენობრივი ენერგეტიკა, რომელსაც ქმნის სიტყვა, ნიჭი და გულის კულტურა.

საკვანძო სიტყვები: გული, ნიჭი, სიტყვა, მუსიკა, სიყვარული.

Nestan Phiphia
Doctor of Philology, Associate Professor at ZSU

TALENT, WORDS, AND THE CULTURE OF THE HEART (Excerpts from Revez Sherozia's relationship with words)

ABSTRACT

Revez Sherozia engaged with words through scientific research and artistic creation. In addition to his linguistic studies, he produced fables, fairy tales, and stories. The focus of our research is on extensive narratives: „Notes of the Released“ and „The Room of

Solitude“ (Portraits from the Lives of Two Poets). „Notes of the Released“ depicts a person’s journey through the mortal world and their mission to serve goodness and love. The author, through spiritual insight, portrays the episode of the main character’s departure from worldly life; it illustrates the choice—preferably, to submit to evil (“Tzirkes“ — Revez Sherozia) — and to forego the earthly existence of twenty years in favor of passing into the beyond, in the realm beyond this life. „The Room of Solitude“ (Portraits from the Lives of Two Poets) is dedicated to Nikoloz Baratashvili and Chopin, emphasizing the harmony of their creative works and their life journeys. The work highlights the author’s intellectual space and heartfelt perspective. Particular attention is given to the fact that Revez Sherozia’s attitude towards words is rooted in strength, talent, and a culture of the heart. Therefore, his writing style is characterized by emotional expression and profound meaning. He possesses a unique linguistic energy, created by the combination of words, talent, and heartfelt culture.

Key Words: Heart, talent, word, music, love.

დროს თავისი კანონი აქვს: ადამიანის იმიერში გადასახლების შემდეგ მძაფრი ემოციები გონებას აძლევს ასპარეზს, მერე გულ-გონება მთლიანდება და ტკივილს კუთვნილ ადგილას დააბინავებს. ბატონი რეზოს წასვლის შემდეგ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში დრომ ვერ შეცვალა განწყობა: „ძალიან გვაკლია ბატონი რეზო!“

ის განგებისგან დაჯილდოებული იყო: სიტყვისა და მისი არსის, მუსიკის, ფერთა განცდის ნიჭით. ასევე ადამიანის შეცნობის, სხვისი ნიჭის ქომაგობის უბადლო უნარი ჰქონდა. ამის დასტურია მის მიერ დაკვალიანებული ყოფილი სტუდენტების წარმატებული მეცნიერული გზა. საინტერესოა, ზოგადად ნიჭის დახასიათება სახარებაში, სადაც ხაზგასმულია ნიჭის მრავალფეროვნება: „ზოგს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა, ზოგს — ცოდნის სიტყვა, იმავე სულით — ზოგს ნიჭი მკურნალობისა... ყოველივე ამას შეიქმს ერთი და იგივე სული და უწილადებს თვითოეულს, როგორც თავად ნებას“ (კორინთელთა მიმართ. 11-10 ლსმე 2007:304) ბატონი რეზოს ღვაწლი, სიტყვასთან ურთიერთობის სივრცე მრავალფეროვნების შესაკრებელია, მთლიან სამყაროს რომ ქმნის: ლინგვისტიკაში წონადი სიტყვით, მხატვრულ ლიტერატურაში საკუთარი ხელწერით, მუსიკის ჰარმონიის, მხატვრობის საინტერესო მასპინძლად და თანაზიარად. ამიერი და იმიერი სამყაროს სიტყვის ძალით განცდით.

ჩვეულებრივ, ჩვენ ნაკლებად ვფიქრობთ სიკვდილზე. არადა, ის მუდამ ჩვენთანაა, როცა ჟამი დგება, გამოგვეცხადება. ბერი პაისი ამბობდა: „ადამიანი სიკვდილზე უნდა ფიქრობდეს და ამ დიდი მოგზაურობისთვის ემზადებოდეს“. რევაზ შეროზიას ვრცელ მოთხრობაში „გათავისუფლების ჩანაწერები“ სწორედ ეს სამზადისი და მოგზაურობაა აღწერილი. ახლა, როცა ავტორი იმიერ სამყაროშია (როგორც თვი-

თონ უწოდებს „თვალსიქეთა“ სამყაროში), ხვდები, რომ ნაწარმოებში ერთი კონკრეტული პერსონაჟი კი არა, სული გესაუბრება. ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი არის „წირკესთან“ ჭიდილი. „სული გვამის მწყემსია, უფლის ნაწილია და ამიტომ წირკეს მისი ჯავრი აქვს.“ (შეროზია 2017:7) წირკეს მიზანი სულის ძლევაა. რევაზ შეროზიას მხატვრულ სამყაროში სიუჟეტიდან სიუჟეტში გადადის წირკეს ნათლიერებასთან ბრძოლის, მისი დამარცხების წყურვილის ამბავი. ალიო ქობალიას მეგრულ – ქართულ ლექსიკონში „წირკე“ იგივეა, რაც წინკე. წინკე – ჭინკა. წყლის ჭინკა. თვით ჭინკა ასეა განმარტებული: „ტანდაბალი, ბალნიან-კლანჭიანი“ (ქობალია 710:2010) ე. ი. ბოროტის სიმბოლო. „გათავისუფლებულის ჩანაწერებში“ წირკე უმეტესად აბსტრაქტულია. მთავარ პერსონაჟს ერთადერთხელ, გარდაცვალებამდე ევლინება ხორციელად; ის მახინჯია, ბრჭყალებიანი, „ბორჯღლა თვალებით“. გემოვნებიანი მკითხველი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ამ ეპიზოდის მხატვრულ ძალმოსილებას: ფრაზათა დახვეწილობით, სინანულის განცდის, სულის გასვლის აღწერის სიცოცხლისუნარიანობით, მაგრამ ავტორის წუთისოფლიდან გასვლის შემდეგ გამაოგნებელ წინასწარმეტყველებადაც აღიქმება. ის პირველი პირით საუბრობს, უკუჩვენებელ სენს უხვდება სტოიციზმით, „ჭირსა შიგან გამაგრების“ განწყობით. ერთ-ერთი ქვეთავი „შერკინება“ იწყება ეპიგრაფით: „წარიყვანა იგი ეშმაკმან ... და უჩუენნა მას ყოველი სუფევანი სოფლისანი და დიდებაი მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველნი მიგცე შენ უკუეთუ დაჰვარდე და თაყვანის-მცე მე“ (მათე-4-8-9). ამქვეყნიური დიდება გაარარავებულია ავადმყოფის (ავტორის ალტერ ეგო) სულიერ წყობაში. მოთხრობაში მთავარი პერსონაჟი ბოროტთან წილნაყარობით ცხოვრების გაგრძელებას აღსასრულს ამჯობინებს. ის ექიმისგან ანალიზების პასუხად ისმენს: ნაწლავების სიმსივნის მეოთხე სტადიაა, ორგანიზმში ისეა მოდებული, ოპერაციას აზრი არა აქვს. რევაზ შეროზია სიტყვათა საუფლოში თამამი და მდიდარი მეკვლეა, აღნიშნულ თავში თხრობის სტრუქტურა და მიგნებულად ჩაგვირისტებული ფრაზები აძლიერებს ემოციურ ზემოქმედებას: „გზა შემომწარებულ-მესუდრულია“ ექიმთან ვიზიტის შემდეგ.

„გამომპალ შიგანში ერთნაირი ტაქტით მეორდებოდა ტკივილის აკორდები, ბოლო დღეებში მათი რიტმი გაორმაგდა, რაც დაღმართის დასასრულზე მიანიშნებდა. ლოგინად ჩავარდნილს ხშირად შინაგანი ჭიდილი აქვს წირკესთან; ამჯერად ხორციელადაც გამოჩნდა „ლოჯებიანი, კლანჭა თითებით“. ავადმყოფს ბოროტთან დაპირისპირების მშვიდი მზაობა აქვს. წირკეს მოთხოვნაა: „უარი თქვი ჩემს სიძულვილზე. რა უნდა მოგცეს შეუცნობლის სიყვარულმა?!“ „ტკივილში ამოვლებული ღიმილით“ თქმული პასუხი სულის ცეცხლსა და გულის დუღილშია გამოტარებული; „დაბადებაა ძნელი, თორემ სიკვდილი ადვილია! შექმნაა რთული, თორემ დანგრევას რა უნდა?“ (შეროზია 2017 :101).

სასიკვდილო სარეცელზე მყოფს ბოროტი სული 20 წლით „ჩიტების სანავარდეს“ ჰპირდება, თუ უარს იტყვის სულის სინათლეზე. მომაკვდავის პასუხი რწმენით გაკაჟებულ-განმტკიცებული სულის მიერ მისი მხილებაა: „შენ ბოლმა გახრჩობს, სიყ-

ვარულს ვერ სძლიე! მარცხს ვერ ეგუები, უფლის ბოძებულმა სულმა გაჯობა. ბევრი მახე დაუგე ჩემს გონებას. ბევრჯერ სცადე მისი დამორჩილება. ჩემი სული კი უფლის სიყვარულია, ამიტომ არ მძულხარ! მებრალეები სიყვარულგანუცდელი“ (შეროზია 2017: 102). წირვე დუმს „სიავით შეფერილი მზერით, სადღაც მიქანაობს ბუზლუნ-ბუზლუნით“... ნელ-ნელა სიკვდილი ეუფლება სნეულს. ის გულში იმეორებს : „იყავნება შენი და არა-ჩემი“. უკუნეთს ღიმილით ნებდება.

წუთისოფლიდან გასვლის შემდეგ აღწერილია „გამარჯვებულთა ხეივანი“. აქ „უხსეულო სულის თვალისიქეთში“ გადასვლაა, იქ იკრიბებიან უკეთურის დამმარცხებელნი. „გამარჯვებულთა ხეივნელები“ სიკეთეს გააბეგრებენ და „უკეთურის ოინებს შემოამცირებდნენ“. სადედამიწო იმედით მთავრდება თხრობა, რომ „ბოროტ-სა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ეპიზოდები: წირკესთან ფსიქოლოგიური ჭიდილი, სულის გასვლა, „გამარჯვებულთა ხეივნელებთან“ შეერთება, – ემოციურ – დამაჯერებლობით მხატვრულად გადმოცემული, დიალოგია „სულმღვიძარეებსა“ და „სულმძინარეებთან“ სიცოცხლეზე, „აქ“ მოვლინების არსზე დასაფიქრებლად.

ბატონი რევაზ შეროზიას მხატვრული შემოქმედება გვიჩვენებს, რომ მის გონე-ბისმიერ მეცნიერულ სამყაროს ტყუბისცალივით ჰყავდა ადევნებული ფაქიზი, ჰარ-მონიული სასიტყვეთი, აქ დავანებულია ჩვეულებრივობაზე ამაღლებული, ღირებუ-ლებების ღირებულებაზე მეტყველი სულიერი სივრცე. აქ უფლის სიყვარულია, მუსი-კის განცდაა, მუსიკა კი „მოქმედებს სიტყვისა და განსჯის მიღმა, როგორც ერთგვა-რი ინტუიცია“ (კოსტავა 2009 :44). მუსიკა, ბგერათა ჰარმონია იყო რევაზ შეროზიას სულის სიამე, დაატარებდა როგორც გულისმიერ წყურვილს. „მწირი მუსიკალური განათლება მსოფლიო კლასიკურმა შედეგებმა და მათზე წაკითხულ – გააზრებულმა შემევისო“, – ამბობს ის. არაპროფესიონალის კვალობაზე კარგად ვიცნობდიო: ვი-ვალდის, ბახის, მოცარტის ნაწარმოებებს. ვერაფერი შეედრება შოპენის ვალსებს, ბალადებს, მაზურკებს“, და აქვე გენეტიკით ფესვძლიერ ქართულ მუსიკაზე ამბობს: „სრულიად სხვა ფერისაა ქართველური ჰარმონია: მშვიდი, გულიდან ამოსული ხმების ერთობა, სიყვარულით შეზავებული, სიკეთის ნაყოფი, სულის მოალერსე“ (შეროზია 2017:11). მისი „მარტოობის ოთახი“ (ჩანახატები ორი პოეტის ცხოვრებიდან) ნა-თელ წარმოდგენას გვქმნის, როგორი სისავსით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და შოპენი. ავტორი მკითხველისადმი მიმართვით ამთავრებს ნაწარმოებს: „მუსიკისა და პოეზიის გულისცემას სილამაზე განსაზღვრავს.“ შოპენი და ბარათაშვილი მთავა-რი პერსონაჟები არიან. დისკურსი დამუხტულია სულისმიერი სიახლოვით. შოპენის სამყაროს სიტყვაში გადმოსახლება, ცხადია, მთელი არსებით განცდილი უნდა ყოფ-ლიყო. მერაბ კოსტავას აზრით, შოპენი „ზეეროვნული მოვლენაა. მეტად იშვიათია და ძნელად მისაღწევი შოპენის ესთეტიკის სფერო. იგი იმ ლეგენდარული ხელმწიფის სასახლეს მიაგავს, რომლის წინაშე მდგომობა მხოლოდ სულით არისტოკრატებს ხელეწიფებათ“ (კოსტავა 2009 :43) ბატონი რეზო მიეახლა იმ „ლეგენდარულ სასახ-ლეს“. მის ნიჭსა და სიტყვას მეგზურობდა გულის კულტურა.

რეზო შეროზიას თავისი სასიტყვეთი აქვს. მოიქნევს კალამს და მხატვრულ სიტყვასთან სითამამით, სიტყვანარმოებით ფრაზაში ჩანურავს მოვლენის არსს:

- „ვისაც უნდა ითავისოს წინაპრად მაიმუნი;“
- „დამადევნა ლოცვისფერი სიტყვები;“
- „ყვავილი ამომზევებულიყო;“
- „შემომბოდიშებელი თვალებით მიყურებდა;“
- „ლიმილისფერი ფიქრებით დავქროდი; „
- „სიყვარულმღვიძარეთ გაუღიმ – გაუალერსებდნენ“ (და ა.შ.)

„ჰარმონიის ხეივნის“ (რ. შ.) ნებიერი სტუმარი იყო ბატონი რეზო. მის ნიჭსა და სიტყვას ერთგულად მეგზურობდა გულის კულტურა. „გული ინტუიციური ცნობიერების იარაღია“ (ბლუზ პასკალი). ამასვე ადასტურებს არქიმანდრიტ რაფაელის მოსაზრება: „გული კაცისა კარიბჭეა, რომლითაც მას სულის მისთვის უცნობ ნაწილში შესვლა შეუძლია“ (ლსმე 2007:140.) აქ ხაზგასმულია სულისმიერი ჭვრეტის უნარი და სწორედ ეს ესაფუძვლება გულის კულტურას, რაც განაპირობებს პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალურ სახეს.

საგულისხმოა, რომ ავთანდილ არაბულის რედაქტორობით გამოიცა წიგნი „გულის ლექსიკონი“. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ „ენები მნიშვნელოვან განსხვავებას გვიჩვენებენ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციონირების თვალსაზრისით“ (არაბული და სხვ. 2023:5). მათ აქვთ განსხვავებული მიდრეკილება ფუნქციონალური განზოგადებისა და ხატოვანი გამოყენებისკენ. ეს ავლენს სპეციფიკურ ენობრივ „ენერგეტიკას“, რაც გულისხმობს „ეთნოკულტურულად მარკირებულ ცნებათა და გამონათქვამთა განსაკუთრებულ ინტენსივობასა და სიცოცხლისუნარიანობას ამა თუ იმ ენაში“ (არაბული და სხვ. 2023:5) გულს მრავალგვარი ფუნქცია მიენერება ჭანურში, მეგრულში. სალიტერატურო ქართულში გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესის ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ – ხასიათის განმსაზღვრელად. (გარდა ორგანული ფუნქციისა ორგანიზმში) რუსთველის მიხედვით: „გული , ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან.“

ბატონმა რეზომ

გ უ ლ ი სყურით მოსმენა იცოდა,

ა გ უ ლ იანებდა სულმღვიძარეებს,

გ უ ლნათელი და გ უ ლმზიანი, გ უ ლკეთილი იყო ბუნებით,

გ უ ლ მოსაფონი სიტყვების ძებნა არ ჩვეოდა,

გ უ ლფიცხად გ უ ლ ი სმიერ ხედვას ჩამოაყალიბებდა; არსობრივად დამარწმუნებელ კონტრარგუმენტს თუ დაუხვედრებდი, თვალები გაუნათებოდა.

გ უ ლმობიერად აგრძელებდა საუბარს. ინტელიგენტ ადამიანებს

„გ უ ლ ი თვალებში უციმციმებთო“, – უციმციმებდა...

გ უ ლმარიხიანი დაუხვდა ვერაგ ავადმყოფობას.

გ უ ლ ი სდულილი უსათუოდ ექნებოდა, მაგრამ საოცარი სულიერი ძალა დაუხვედრა.

გ უ ლ ოვნობდა განსაცდელის – წირკეს მუქარის წინაშე. მხოლოდ

გ უ ლ ისხმას შეეძლო ეკარნახა: „მე ყოველთვის ვანთებდი ერთ სანთელს უფლისწულის წინაშე და ცოდვების მიტევებას შევთხოვდი“..

„ღარიბი ის კი არ არის, ვისაც არაფერი არ აქვს. ღარიბი ისაა, ვისაც გაცემის ფიქრ-სურვილი არ გააჩნია“ (შეროზია 2017:30)

რევაზ შეროზიამ მხატვრული სიტყვით საკუთარი სულიერი ბიოგრაფია აკინძა და დაგვიტოვა. „წირკესთან“ ჭიდილს ლომგ უ ლ ოვნებით უხვდებოდა, ასპარეზი იყო გული – „ინტუიციური ცნობიერების იარაღი“, ძალა – მღვიძარე სული და ცოცხალი სიტყვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

არაბული ავთანდილ, ბინიაშვილი ლალი, ტუსკია მანანა, ხახიაშვილი ნინო, გულის ლექსიკონი, თბ., 2023.

ქობალაია ალიო, მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010

ლსმე: ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, თბ., 2007.

შეროზია რევაზ (ჯუმა ჯუმითელი), გათავისუფლებულის ჩანაწერები, 2017.

შეროზია რევაზ, მარტოობის ოთახი (ჩანახატები ორი პოეტის ცხოვრებიდან), 2017.

წმიდაი ოთხთავი, მათეს სახარება – 4. 8. 9. თბ., 2018.